საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. ივლისის 10. № 15 ტფილისი

## შინაარსი

### ფინანსები

206. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

## ფინანსები

### 206. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მაისის 25-ის თარიღისა და 68/1037 №-ის დადგენილებით დამტკიცებული 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ-ის კან. კრ. 1933 წ. 32 №-ი, მუხ. 188ა და 188-ბ) და ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივნისის 7-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“ 1933 წ. № 130) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის.

#### კარი I.

#### ზოგადი დებულებანი

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება:

ა) კოლექტიური მეურნეობა (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა);

ბ) კოლმეურნეობის წევრის მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილი;

გ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა.

ეროვნული

2. სარეწაო კოოპერაციის კავშირის შედგენილობაში შემავალი ყოველი სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელი (სარეწაო კოლექტიური მეურნეობა) დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყველა თავისი შემოსავლის მიხედვით, უკეთუ სოფლის მეურნეობა ამ არტელში განსაზოგადოებულია არა ნაკლებ, ვიდრე უწყებული რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოლმეურნეობებში.

3. სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან ზემოსვანეთის და ხევსურეთის და ერწო-თიანეთის რაიონის სოფელ ხაშალის და ბაცალის კოლმეურნეობანი, კოლმეურნენი და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობანი.

4. საგადასახადო წელიწადი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ითვლება 1933 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

კარი II.

## კოლექტიურ მეურნეობათა დაბეგვრა

### ა. კოლმეურნეობათა გადასახადის გამოანგარიშების წესი.

5. გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული კოლმეურნეობისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თესვის გეგმით მისთვის დადგენილი საგაზაფხულო ნათესის ფართობისა, მისი აღნუსხული საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობისა, სათიბისა და მრავალწლიანი ნარგავის ფართობისა (ბაღი, ვენახი და სხვ.) და აგრეთვე არასამიწათმოქმედო შემოსავლის მიხედვით.

ნათესი, რაც გეგმას აღემატება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

6. კოლმეურნეობათა გადასახადის გამოსაანგარიშებლად დაწესებულია გადასახადის შემდეგი განაკვეთები მანეთობით ერთ ჰექტარ ნათესსა და ნარგავზე (ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში):

[იხილე ცხრილი 404 გვერდზე]

7. საშუალო განაკვეთების მიხედვით, აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გადასახადის საშუალო განაკვეთებს ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შედგენილობაში შემავალი რაიონებისათვის.

8. კოლმეურნეობის არასამიწათმოქმედო შემოსავლის გადასახადი გამოიანგარიშება საერთო შემოსავლის მიხედვით ყველა საწარმოო ხარჯის გამოკლებით. ამ შემოსავლის გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი განაკვეთების მიხედვით: კომუნასა და არტელს გადახდება 3,5 კაპიკი და მიწის

საერთო ძალით დამმუშავებულ ამხანაგობას—5 კაპიკი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

**შენიშვნა.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კოლმეურნეობაში არ დაიბეგრება თევზაობის ის შემოსავალი, რაც იბეგრება თევზაობის ერთიანი გამოსაღებით.

9- კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ: ა) ბრუნვის გადასახადი იმ საწარმოს და სარეწაოსათვის, რომელიც დაბეგრილ უნდა იქნეს ბრუნვის გადასახადის კანონის თანახმად; ბ) წყლის გამოსაღები სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონებში; ამ გადასახადებით კოლექტიური მეურნეობა დაიბეგრება.

### ბ. კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

#### შეღავათები მოსავლიანობის გადიდების მიზნით.

**10.** მოწინავე კოლმეურნეობას, რომელიც ნამდვილად შეასრულებს და გადამეტებით განახორციელებს მოსავლიანობის გადიდების გეგმას და საუკეთესოდ დააყენებს აღნუსხვისა და ანგარიშგების საქმეს, ეძლევა შეღავათი, რომლის ძალითაც გამოანგარიშებული შეწერილი გადასახადი მას შეუმცირდება 25%-მდე.

ეს თანხა გამოყენებულ იქნება სპეციალური ფონდის შესაქმნელად უწყებულ კოლმეურნეობაში იმ მიზნით, რომ ამ ფონდიდან მიეცეს პრემია საუკეთესო ბრიგადებს და ცალკეულ დამკვრელ—კოლმეურნეებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მოსავლიანობის გადიდებას და საუკეთესოდ მოაწყობენ აღნუსხვისა და ანგარიშგების საქმეს.

**11.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესლე ფართობი.

#### შეღავათები ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების მიზნით.

**12.** დაბეგვრისაგან სრულიად განთავისუფლდება შაქრის ჭარხლის ნათესი.

**13.** სელის ნათესი ნაკოლინდარ მიწაზე და გაუტეხავ მიწაზე, რომელიც მოხნულია შემოდგომიდან, განთავისუფლდება დაბეგვრისაგან, ხოლო სელის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი განაკვეთით, სახელდობრ: მარცვლეული კულტურების განაკვეთის მიხედვით.

**14.** კანაფის ნათესი სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

**15.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ბამბის ნათესი, ურწყავ მიწაზე ყველა სარწყავ სამიწათმოქმედო რაიონში.

| რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების სახელწოდება. | მარცვლ. და ოთხფეხი საქონლის საკვები კულტ., ფესვნარი, და ნათესი ბალახი. | | კარტოფილი | | მზესუმზირა | | თამბაქო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. |
| 1. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . . . . . | 2,40 | 3,40 | ყველგან 3 მან. და 25 კაპ. | ყველგან 4 მან. და 60 კაპ. | ყველგან 2 მანეთი | ყველგან 2 მან. და 80 კაპ. | ყველგან 12 მან. და 50 კაპ. | ყველგან 17 მან. და 50 კაპ. |
| 2. ტფილისის რაიონი . . | 2,90 | 4,00 | | | | | | |
| 3. ყარაიას „ . . . | 2,90 | 4,00 | | | | | | |
| 4. ბორჩალოს „ . . . | 3,50 | 4,90 | | | | | | |
| 5. ბაშკიჩეთის „ . . . | 2,00 | 2,80 | | | | | | |
| 6. წალკის „ . . . | 1,90 | 2,70 | | | | | | |
| 7. ლუქსემბურგის „ . . . | 3,30 | 4,50 | | | | | | |
| 8. გარე-კახეთის „ . . . | 2,80 | 3,90 | | | | | | |
| 9. მცხეთის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 10. ერწო-თიანეთის „ . . . | 2,30 | 3,20 | | | | | | |
| 11. ალბულახ-მანგლისის „ . . . | 2,50 | 3,50 | | | | | | |
| 12. ხევის „ . . . | 1,90 | 2,70 | | | | | | |
| 13. დუშეთის „ . . . | 2,20 | 3,00 | | | | | | |
| 14. თელავის „ . . . | 2,30 | 3,30 | | | | | | |
| 15. სიღნაღის „ . . . | 3,60 | 4,90 | | | | | | |
| 16. გურჯაანის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 17. ლაგოდეხის „ . . . | 3,20 | 4,50 | | | | | | |
| 18. ყვარლის „ . . . | 2,80 | 3,90 | | | | | | |
| 19. გორის „ . . . | 2,70 | 3,80 | | | | | | |
| 20. ბორჯომის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 21. კასპის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 22. სტალინისის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 23. ახალქალაქის „ . . . | 2,70 | 3,80 | | | | | | |
| 24. ბოგდანოვკის „ . . . | 2,20 | 3,00 | | | | | | |
| 25. ახალციხის „ . . . | 2,40 | 3,40 | | | | | | |
| 26. ადიგენის „ . . . | 2,40 | 3,40 | | | | | | |
| 27. ტოლოშის „ . . . | 2,40 | 3,40 | | | | | | |
| 28. აფხაზეთის ავტ. სსრ . | 2,50 | 3,50 | | | | | | |
| 29. აჭარისტანის ავტ.სსრ . | 2,00 | 2,80 | | | | | | |
| 30 ქუთაისის რაიონი . . | 2,50 | 3,50 | | | | | | |

[მე-6 მუხლისათვის (გვ. 402)]

| ბოსტნეული | | ბაღჩები | | სათიბები და სასი-ლოსო ნა-თესი | | ბაღები და საზმილოები | | ვენახები | | მანდარინის ნარგავები | | ბამბა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. |
| 13,20 | 18,30 | 14,50 | 20,00 | ყველგან 1 მან. და 10 კაპ. | ყველგან 1 მან. და 50 კაპ. | 36,30 | 51,00 | 14,80 | 21,20 | | | ყველგან 2 მან. და 50 კაპ. | ყველგან 3 მან. და 50 კაპ. |
| 24,20 | 33,60 | 16,90 | 23,30 | | | 30,00 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| 24,20 | 33,60 | 16,90 | 23,30 | | | 35,50 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| 24,20 | 29,00 | 16,90 | 23,30 | | | 35,50 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| 11,30 | 15,60 | 9,10 | 12,50 | | | 35,50 | 50,90 | — | — | | | | |
| 11,30 | 15,60 | 9,10 | 12,50 | | | 35,50 | 50,90 | — | — | | | | |
| 20,90 | 29,00 | 10,60 | 23,30 | | | 35,90 | 50,90 | 30,70 | 35,40 | | | | |
| 20,90 | 29,00 | 10,60 | 23,30 | | | 35,90 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| 20,90 | 29,00 | 10,60 | 23,30 | | | 35,90 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| — | — | — | — | | | — | — | — | — | | | | |
| 20,90 | 29,00 | 10,60 | 23,30 | | | 35,90 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| — | — | — | — | | | — | — | — | — | | | | |
| 17,60 | 24,40 | 14,10 | 19,50 | | | 35,50 | 50,90 | 21,50 | 30,80 | | | | |
| 20,90 | 29,00 | 19,50 | 26,90 | | | 31,70 | 45,50 | 23,90 | 30,30 | | | | |
| 16,90 | 23,40 | 13,60 | 18,80 | | | 31,70 | 45,50 | 23,90 | 34,00 | | | | |
| 18,80 | 26,20 | 15,20 | 20,90 | | | 31,70 | 45,50 | 33,90 | 48,50 | | | | |
| 20,90 | 29,00 | 10,60 | 23,30 | | | 31,70 | 45,50 | 17,60 | 25,30 | | | | |
| 18,80 | 26,00 | 15,10 | 20,90 | | | 31,70 | 45,50 | 24,20 | 34,50 | | | | |
| 18,30 | 25,50 | 14,80 | 20,40 | | | 39,10 | 56,00 | 18,20 | 26,00 | | | | |
| 18,30 | 25,50 | 14,80 | 20,40 | | | 30,00 | 43,00 | 14,80 | 21,20 | | | | |
| 18,30 | 25,50 | 14,18 | 20,40 | | | 32,70 | 46,90 | 18,90 | 27,00 | | | | |
| 18,30 | 25,50 | 14,80 | 20,40 | | | 30,00 | 43,00 | 17,70 | 25,30 | | | | |
| 12,40 | 17,20 | 10,80 | 13,80 | | | 30,00 | 52,00 | — | — | | | | |
| — | — | — | — | | | — | — | — | — | | | | |
| 15,60 | 21,70 | 12,60 | 17,40 | | | 36,20 | 53,30 | — | — | | | | |
| 15,60 | 21,70 | 12,60 | 17,40 | | | 36,20 | 53,30 | — | — | | | | |
| 15,60 | 21,70 | 12,60 | 17,40 | | | 36,20 | 53,30 | — | — | | | | |
| 18,00 | 25,00 | 14,50 | 20,00 | | | 30,00 | 31,40 | 10,80 | 15,40 | 48,60 | 70,30 | | |
| 18,00 | 25,00 | 14,50 | 20,00 | | | 19,90 | 28,60 | 9,70 | 13,90 | 48,60 | 70,30 | | |
| 21,70 | 30,20 | 17,50 | 24,10 | | | 39,30 | 56,30 | 8,90 | 12,70 | | | | |

| რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების სახელწოდება. | მარცვლ. და ოთხფეხი საქონლის საკვები კულტ., ფესვნარი და ნათესი ბალახი. | | კარტოფილი | | მზეუჰვრიტა | | თამბაქო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომლზე და არტელზე | მიწის საერთო ძალით დამუშავებული ამხანაგობა. | კომლზე და არტელზე | მიწის საერთო ძალით დამუშავებული ამხანაგობა | კომლზე და არტელზე | მიწის საერთო ძალით დამუშავებული ამხანაგობა. | კომლზე და არტელზე | მიწის საერთო ძალით დამუშავებული ამხანაგობა. |
| 31. ზესტაფონის „ . . . | 2,20 | 3,00 | | | | | | |
| 32. სამტრედიის „ . . . | 3,00 | 4,20 | | | | | | |
| 33. ჰიათურის „ . . . | 1,80 | 2,50 | | | | | | |
| 34. ამბლორაურის „ . . . | 2,30 | 3,30 | | | | | | |
| 35. ბაღდადის „ . . . | 2,40 | 3,40 | | | | | | |
| 36. ვანის „ . . . | 2,90 | 4,00 | | | | | | |
| 37. ტყიბულის „ . . . | 1,30 | 1,80 | | | | | | |
| 38. ონის „ . . . | 2,30 | 3,30 | | | | | | |
| 39. ჩხარის „ . . . | 2,20 | 3,00 | | | | | | |
| 40. ქვემო სვანეთის „ . . . | 1,30 | 1,80 | | | | | | |
| 41. ცაგერის „ . . . | 2,20 | 3,00 | | | | | | |
| 42. ხორაგოულის „ . . . | 1,80 | 2,50 | | | | | | |
| 43. ხონის „ . . . | 3,00 | 4,30 | | | | | | |
| 44. სენაკის „ . . . | 3,00 | 4,30 | | | | | | |
| 45. მარტვილის „ . . . | 2,90 | 4,00 | | | | | | |
| 46. აბაშის „ . . . | 3,00 | 4,30 | | | | | | |
| 47. ზუგდიდის „ . . . | 2,60 | 3,70 | | | | | | |
| 48. ჩხოროწყუს „ . . . | 2,30 | 3,20 | | | | | | |
| 49. წალენჯიხის „ . . . | 1,80 | 2,50 | | | | | | |
| 50. ხობის „ . . . | 3,20 | 4,50 | | | | | | |
| 51. ოზურგეთის „ . . . | 2,00 | 2,80 | | | | | | |
| 52. ლანჩხუთის „ . . . | 2,00 | 2,80 | | | | | | |
| 53. ჩოხატაურის „ . . . | 2,00 | 2,80 | | | | | | |
| 54. ფოთის „ . . . | 2,50 | 3,50 | | | | | | |
| საქართველოს სსრ . . . | 2,50 | 3,50 | 3,25 | 4,60 | 2,00 | 2,80 | 12,50 | 17,50 |

| ბოსტნეული | | ბაღჩები | | სათიბები და სასილოსო ნათესი | | ბაღები და სახმილოები | | ვენახები | | მანდარინის ნარგავები | | ბამბა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. | კომუნა და არტელი | მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა. |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 26,10 | 35,90 | 29,00 | 39,90 | | | | |
| 21,70 | 30,20 | 17,50 | 24,10 | | | 39,30 | 56,30 | 8,90 | 12,70 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 25,10 | 35,90 | 14,20 | 20,30 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 25,10 | 35,90 | 14,20 | 20,30 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 25,10 | 35,90 | 29,00 | 39,90 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 33,10 | 47,40 | 19,50 | 27,90 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 33,10 | 47,40 | 10,50 | 15,00 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 23,40 | 33,60 | 10,80 | 15,40 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 28,90 | 41,50 | 27,30 | 39,10 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 28,90 | 41,50 | 8,90 | 12,70 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 28,90 | 41,50 | 15,10 | 21,60 | | | | |
| 14,10 | 19,50 | 11,30 | 15,60 | | | 28,90 | 41,50 | 19,50 | 27,80 | | | | |
| 21,70 | 30,20 | 17,50 | 24,10 | | | 25,10 | 35,90 | 8,90 | 12,70 | | | | |
| 11,40 | 15,80 | 6,90 | 9,50 | | | 25,50 | 36,50 | 13,20 | 18,80 | | | | |
| 11,40 | 15,80 | 9,20 | 12,60 | | | 25,50 | 36,50 | 11,80 | 16,90 | | | | |
| 11,40 | 15,80 | 9,20 | 12,60 | | | 25,50 | 36,50 | 13,30 | 19,00 | | | | |
| 12,60 | 17,50 | 10,20 | 14,00 | | | 28,20 | 40,40 | 13,30 | 19,00 | | | | |
| 12,60 | 17,50 | 10,20 | 14,00 | | | 25,20 | 40,40 | 13,30 | 19,00 | | | | |
| 12,60 | 17,50 | 10,20 | 14,00 | | | 28,20 | 40,40 | 13,30 | 19,00 | | | | |
| 12,60 | 17,50 | 10,20 | 14,00 | | | 28,20 | 40,40 | 13,30 | 19,00 | | | | |
| 12,10 | 16,80 | 9,70 | 13,40 | | | 17,40 | 34,40 | 11,80 | 16,90 | 29,60 | 42,80 | | |
| 12,10 | 16,80 | 9,70 | 13,40 | | | 28,20 | 40,40 | 11,80 | 16,90 | 29,60 | 42,80 | | |
| 12,10 | 16,80 | 9,70 | 13,40 | | | 17,40 | 25,00 | 11,80 | 16,90 | 29,60 | 42,80 | | |
| 12,10 | 16,80 | 9,70 | 13,40 | | | 17,40 | 25,00 | 11,80 | 16,90 | | | | |
| 18,00 | 25,00 | 14,50 | 20,00 | 1,10 | 1,50 | 30,00 | 43,00 | 20,00 | 28,00 | 47,00 | 68,00 | 2,50 | 3,50 |

ბამბის ყველა დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი განაკვეთით, სახელდობრ: მარცვლეული კულტურების საშუალო რესპუბლიკური განაკვეთის მიხედვით.

ბიბლიოთეკა

**16.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან კენაფის, კენდირის, რამის, საბაგირო მცენარის, სამხრეთის კანაფის და ლუფის ნათესი, ჩაის პლანტაცია, კაუჩუკოსანი მცენარეების და არახისის ნათესი, ციტრუსოვანი ნარგავი, გარდა მანდარინის პლანტაციებისა.

**17.** ბრინჯის ნათესი განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

**18.** ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების დაკონტრაქტებული ნათესი განთავისუფლდება დაბეგვრისაგან.

### კოლმეურნეობათა შეღავათები მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის განვითარების მიზნით.

**19.** რათა ხელი შეეწყოს მეცხოველეობის და მერძეული მეურნეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ყველა სახის ოთხფეხი საქონელი;

ბ) სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი;

გ) იმ კოლმეურნეობებში, სადაც სასაქონლო ფერმებია, დაბეგვრისაგან განთავისუფლდება საკვები ბალახის მთელი ნათესი ფართობი, რომლის მოსავალიც კოლმეურნეობის მიერ სასაქონლო ფერმას ეძლევა. დაბეგვრისაგან განთავისუფლდება აგრეთვე სასაქონლო ფერმის არასამიწათმოქმედო საწარმოს შემოსავალი.

### შეღავათები საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების მიზნით.

**20.** კოლმეურნეობის შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით (საკოლმეურნეო ბაზარზე, ფარდულში და სხვ.), დაბეგვრისაგან განთავისუფლდება.

იმ კოლმეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობა-
შიაც შედიან სამხედრო მსახურნი, ორდენებით დაჯილდო-
ებული პირნი, ყოფილი წითელგვარდიელნი და წითელი პარ-
ტიზანები, შრომის გმირები, გამხედროებული დაცვისა და მი-
ლიციის სამსახურში მყოფი პირნი და აგრეთვე კულაკური
შურისძიებისაგან დაზარალებული აქტივისტების ოჯახები.

**21.** კოლექტიური მეურნეობისათვის გამოანგარიშებული გადასახადის თანხას საესებით გამოაკლდება ის ნაწილი, რაც მოდის კოლმეურნეობის შემდეგ წევრებზე:

ა) იმ პირზე, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით, ან და საპატიო რევოლუციონური იარაღით, აგრეთვე შრომის გმირზე;

ბ) საკადრო სამრიგეო და უმცროს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურზე, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1933 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფ სამხედრო მსახურზე;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის იმ პირზე, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება, და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდელამდე ან ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის იმ სამხედრო მსახურზე, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილ წითელგვარდიელზე და წითელპარტიზანზე;

ზ) მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირზე;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფ პირზე;

ი) ომისა და შრომის ინვალიდზე, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება;

კ) სოფლის იმ აქტივისტის ოჯახზე, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში;

ლ) სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ოჯახზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) კოლექტიურ მეურნეობაში მიღებულ საბავშვო სახლის მოწყობაზე და გარედან აყვანილ სრულ ობოლზე.

**შენიშვნა.** შეღავათი შეენარჩუნებათ „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ იმ სამხედრო მსახურთაც, რომელნიც იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილი არიან სამსახურიდან 1933 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

### გადასახლებულ კოლექტიურ მეურნეობათა შეღავათები.

**22.** იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც ახალ ადგილას საგეგმო წესით გადასახლდება, მიეცემა შემდეგი შეღავათები:

ა) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან 6 წლის განმავლობაში;

ბ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან 4 წლის განმავლობაში;

გ) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში.

### შეღავათები სტიქიური უბედურების გამო.

**23.** სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული კოლმეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სრულად ან ნაწილობრივ სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ, მიყენებული ზარალის ოდენობის მიხედვით.

### გ. კოლექტიურ მეურნეობათა მიერ გადასახადის გადახდის წესი და ვადები.

**24.** კოლმეურნეობებისათვის გადასახადს გამოიანგარიშებს სარაიონო საფინანსო განყოფილება. საგადასახადო ფურცლები გადასახადის იმ ნაწილისათვის, რაც სოფლის მეურნეობის შემოსავალზე მოდის, ჩაბარდება კოლმეურნეობის გამგეობას არა უგვიანეს 1933 წლის აგვისტოს 1-ისა.

იმ გადასახადს, რაც კოლმეურნეობის არასამიწათმოქმედო შემოსავალზე მოდის, გამოიანგარიშებს სარაიონო საფინანსო განყოფილება კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის საფუძველზე 1934 წლის თებერვალში.*

**25.** გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებზე:

ა) სოფლის მეურნეობის შემოსავლის გადასახადი—50%—1933 წლის ოქტომბრის 1-სათვის და 50%—ამავე წლის ნოემბრის 1-სათვის;

ბ) არასამიწათმოქმედო შემოსავლის გადასახადი—1934 წლის მარტის 15-სათვის.

აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევაში შეცვალონ ეს ვადები ისე, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავლის ხაზით გამოანგარიშებული გადასახადის მთელი თანხა მიღებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წლის დეკემბრის 15-ისა, ხოლო არასამიწათმოქმედო შემოსავლის გადასახადის თანხა—არა უგვიანეს 1934 წლის მარტის 15-ისა.

## კარი III.

## კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილის დაბეგვრა

### ა. კოლმეურნეთა გადასახადის გამოანგარიშება.

**26.** ის კოლმეურნე, რომელსაც განუსაზოგადოებული შემოსავალი არა აქვს, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან.

**27.** განუსაზოგადოებელ შემოსავალზე (მემინდვრეობა, მეველეობა, სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგები, საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწაოები და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარი, მიღებული არა დაქირავებით) კოლმეურნეს გადასახადი გადახდება შემდეგი განაკვეთის მიხედვით ერთ მეურნეობაზე:

| ავტ. რესპუბლიკები, [illegible] ოლქი და რაიონები | გადასახ. განაკვეთი 1 მეურნეობაზე |
|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 20—30 მან. |
| 2. ერწო-თიანეთის, ხევის, დუშეთის, ტყიბულის, ჭიათურის, ჩხარის, ცაგერის, ხარაგოულის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქვემო-სვანეთის და ფოთის . . . . . . . . . . . . . . . . . . | 20 მან. |
| 3. წალკის, მცხეთის, ბორჯომის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ამბროლაურის, ონის, მარტვილის, აბაშის, ქუთაისის, წალენჯიხის, ვანის, ადიგენის და ტოლოშის . . . . . . . . . . . . . . . . . . | 25 მან. |
| 4. ყარაიას, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, გარე-კახეთის, ალბულახ-მანგლისის, გორის, ტფილისის, ლუქსემბურგის, თელავის, ლაგოდეხის, სამტრედიის, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის, სენაკის, კასპის, სტალინისის, ბაღდადის, ხონის, ხობის, ზესტაფონის და ზუგდიდის . . . . . . . . . . . . | 30 მან. |

**შენიშვნა 1.** საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ზემოაღნიშნული განაკვეთების ფარგლებში დაა-

წესებენ ცალკეული რაიონების მიხედვით გადასახადის განაკვეთებს კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის.

**შენიშვნა 2.** დაქირავებით მუშაობისაგან მიღებული შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს არ აღინუსხება, და სათანადო შემთხვევაში იგი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

**შენიშვნა 3.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან სამონადირეო რეწაობის შემოსავალი.

**შენიშვნა 4.** მეთევზეობის შემოსავალი სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც დაჰქირავს თევზს არ აბარებს კონტრაქტაციით სახელმწიფო სათევზაო მრეწველობის საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

28. მეურნეობას, რომელსაც ორი შრომის უუნარო წევრი ჰყავს, შეწერილი გადასახადი შეუმცირდება 5 პროცენტის რაოდენობით; მეურნეობას, რომელსაც სამი შრომის უუნარო წევრი ჰყავს—10 პროცენტის რაოდენობით, ხოლო მეურნეობას, რომელსაც 4 და მეტი შრომის უუნარო წევრი ჰყავს—15 პროცენტის რაოდენობით.

### ბ. კოლმეურნეთა შეღავათები.

29. კოლმეურნის განუსაზღვრელი შემოსავლის დაბეგვრის დროს კოლმეურნეობისაგან მიღებული შემოსავალი (შრომა-დღეების სასყიდელი) სათვალავში არ მიიღება.

30. კოლმეურნეთა მეურნეობაში მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მებოსტნეობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად დაბეგვრისაგან განთავისუფლდება მთლად ოთხფეხი საქონელი, შინაური ფრინველი, ფუტკარი, მებოსტნეობის და თუთის ხის ხრაქის შემოსავალი.

31. საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, კოლმეურნეებს არ შეეფარდებათ ინდივიდუალურ მეურნეობათათვის დაწესებული განსაკუთრებული დაბეგვრა იმ შემოსავლისა, რაც მიიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე შექმნილი ფასების მიხედვით (მუხ. 55).

32. სასოფლო საგადასახადო კომისიას შეუძლიან სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობანი. ამ მიზნით სასოფლო საგადასახადო კომისია შეადგენს ასეთ მეურნეობათა სიას. ეს სიები განხილულ და შემოწმებულ იქნება კოლმეურნეთა საერთო კრებაზე და შემდეგ სასოფლო საბჭოს მიერ წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

33. გადასახლებული კოლმეურნეობის წევრის მეურნეობა გადასახადისაგან განთავისუფლდება იმავე ვადით, რაც დადგენილია თვით კოლექტიური მეურნეობის განთავისუფლებისათვის.

34. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან იმ კოლმეურნის მეურნეობა, რომლის შედგენილობაშიაც შედიან:

ა) სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით ან და საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და აგრეთვე შრომის გმირი;

ბ) საკადრო სამერიგეო და უმცროს თავდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, 1933 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავდგომთა შედგენილობის საკადრო და რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავდგომთა შედგენილობის ის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება, და რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდელამდე ან ჯარსგარეშე მომზადების ჩასატარებლად;

ე) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში;

ვ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი;

ზ) მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების ოპერატიულ-საშწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

თ) გამხედროებული დაცვის სამსახურში მყოფი პირი;

ი) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფს მიეკუთვნება.

შენიშვნა. „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მსახურთ შეღავათის უფლება შეენარჩუნებათ იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილი არიან სამსახურიდან 1933 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

35. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედრო-ვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე (გარდა 34 მუხ. „დ“ პუნქტში აღნიშნული პირებისა), ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

36. სტიქიური უბედურებით დაზარალებულ მეურნეობას სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლებს გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისია მიყენებული ზარალის ოდენობის და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით.

37. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივისტის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებისაგან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

38. სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ტყის იმ მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით.

39. გარდა ყველა ზემოჩამოთვლილი შეღავათებისა, კოლმეურნეს ეძლევა აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის დაწესებული შეღავათები.

### გ. კოლმეურნეთა მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

40. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

1-ლი ვადა—1933 წ. ოქტომბრის 1 . . . 25% შენაწერი გადასახადისა;
მე-2 ვადა—1933 წ. ნოემბრის 15 . . . 50% შენაწერი გადასახადისა;
მე-3 ვადა—1933 წ. დეკემბრის 15 . . . 25% შენაწერი გადასახადისა.

საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შესცვალონ გადასახადის გადახდის ზემოაღნიშნული ვადები რაიონებისათვის ისე, რომ გადასახადის მთელი გამოანგარიშებული თანხა გადახდევინებულ იქნეს 1933 წლის დეკემბრის 15-მდე.

41. გადასახადის გადახდის დაწესებული ვადები აუცილებლად გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის, გამოცხადდება სასოფლო ყრილობაზე, შეიტანება საგადასახადო ფურცლებში და მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

## თ ა ვ ი IV.

## ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

### ა. ზოგადი დებულებანი.

42. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება თვითეული მეურნეობისათვის ცალკე იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს შემდეგი წყაროებიდან:

ა) მემინდვრეობა;
ბ) მევენახეობა;
გ) ყოველგვარი ოთხფეხი საქონელი, ღორის გარდა;
დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებრინჯეობა, მანდარინის ნარგავი და სხვ.;
ე) შინამრეწველობა, სახელოსნო რეწვა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვარი (არა დაქირავებით).

**შენიშვნა 1.** დაქირავებით მუშაობისაგან მიღებული შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს სათვალავში არ მიიღება, არამედ იგი სათანადო შემთხვევაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

**შენიშვნა 2.** მეთევზეობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ სათევზაო მეურნეობაში, რომელიც დაჭერილ თევზს არ აბარებს კონტრაქტაციით სახელმწიფო სათევზაო მრეწველობის საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას.

ნადირობის რეწაობის შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება.

**43.** ის წყარო, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, პრავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ა) სარეწაო გადასახადისა იმ საწარმოს და რეწაობისათვის, რომელიც იბეგრება ბრუნვის პროცენტული შეფარდებით;

ბ) წყლის გამოსაღებისა—სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში;

გ) საბილეთო გამოსაღებისა—თევზის სარეწაო ჭერის უფლებისათვის.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ ალნაგიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, მიწის რენტა გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

ის შენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

**44.** ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, გადაიხდის თავის შემოსავალზე ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, ან საშემოსავლო გადასახადს.

ქალ: ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, გაგრასა, სიღნაღსა, თელავსა და ჭიათურაში ის მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება.

ყველა დანარჩენ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ის მოქალაქენი, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ისე არასამიწათმოქმედო საშოვარის მიხედვით, ხოლო ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან და სათანადო შემთხვევაში დაიბეგრებიან სხვა გადასახადით შემდეგი კატეგორიის მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გამოსადეგი მიწა (გარდა საეზოვე ნაკვეთისა):

ა) მეურნეობა, რომელსაც აქვს სამომხმარებლო ხასიათის ბოსტანი, ხილის ბაღი, ვენახი და სხვ. არა უმეტეს 0,05 ჰექტარისა და ნორმატიული შემოსა-

ვალი სოფლის მეურნეობის სხვა ძირითადი დარგებიდან არა უმეტეს 50 მანეთისა წელიწადში;

ბ) მეურნეობა, რომელსაც აქვს შემოსავალი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგებიდან (მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და სხვ.).

**45.** ის მოქალაქე, რომელიც ქალ. ტფილისსა, ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა, გაგრასა, სიღნაღსა, თელავსა და ჭიათურაში ცხოვრობს და აქვს სოფლის მეურნეობა ამ ქალაქების გარეშე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს გადაიხდის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი სოფლად მიიღებს; დანარჩენი საქალაქო შემოსავლისათვის, იგი დაიბეგრება სხვა გადასახადებით მთლად ქალაქის მოსახლეობის თანაბრად.

### ბ. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება.

### შემოსავლიანობის ნორმები.

**46.** შრომითი მეურნეობის მემინდვრეობისა, მევენახეობისა, მესაქონლეობისა, მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა და სხვა სპეციალური დარგების შემოსავალი გამოიანგარიშება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

**47.** საქართველოს სსრ-ის ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის (ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონებისათვის) დაწესებულია შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები მანეთობით:

[იხილე ცხრილი 418 გვერდზე]

**48.** აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმებს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შედგენილობაში შემავალი ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ, დააწესონ შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები ცალკეული სოფლებისათვის და იმ ტერიტორიისათვის, რასაც სასოფლო საბჭო აერთიანებს.

ამასთანავე თვითეულ რესპუბლიკასა, ოლქსა და რაიონში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა, რაც განსაზღვრულია მთლიანად რესპუბლიკისა, ოლქისა თუ რაიონისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

**49.** 47 და 48 მუხლის წესით დადგენილი ნორმები შემოსავლიანობისა მათი გამოქვეყნების შემდეგ არ შეიძლება შეიცვალოს საგადასახადო წლის განმავლობაში.

### მემინდვრეობის, მეველეობის და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების შემოსავლის განსაზღვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**50.** მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მებაღჩეობის, მევენახეობის, მებ[illegible]ლეობის და მეთამბაქოობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება გაზაფხულის ნათესი ფართობის კვალობაზე, რაც თვითეული მეურნეობისათვის დაწესებულია თესვის გეგმით, და აგრეთვე ამ მეურნეობაში აღნუსხული შემოდგომის კულტურების ნათესი ფართობისა და მრავალწლიანი ნარგავის ფართობის კვალობაზე.

ამასთანავე ვენახის, ხილის ბაღის, ხმილის, მანდარინის და სხვა მრავალწლიანი ნარგავის ფართობი დაიბეგრება მხოლოდ სხმოიარობის პირველი წლიდან.

**51.** მეველეობის შემოსავლის გამოანგარიშებისათვის სათვალავში მიიღება მეურნეობაში ქონებული ყველა სათიბი, როგორც წყალმისაგდები, ისე არაწყალმისაგდები, დაბლობი, მშრალმინდვრიანი და ტყიანი.

### ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრა.

**52.** ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრისათვის სათვალავში მიიღება:

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი და აქლემი 4 წლისაზე უხნესი;

ბ) ბუღა 3 წლისაზე უხნესი;

გ) ძროხა და ფურ-კამეჩი პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე უხნესი;

დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა.

ოთხფეხი საქონლის ხნოვანობა გამოიანგარიშება 1933 წლის მაისის 1-ისათვის.

### არა სამიწათმოქმედო შემოსავლის განსაზღვრა.

**53.** არასამიწათმოქმედო საშოვარი გამოიანგარიშება მთელი დროისათვის 1932 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

**54.** არასამიწათმოქმედო შემოსავალს თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სასოფლო საგადასახადო კომისია.

ამასთანავე საერთო შემოსავალს გამოაკლდება ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯი რეწაობის ხაზით: ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, გათბობის და სხვ. ხარჯი.

ამგვარად გამოანგარიშებული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში; ისე, რომ გარე-სარეწაოზე დაუქირავებლად მიღებული შემოსავალი და აგრეთვე შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში 30% რაოდენობით.

| რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების სახელწოდება | მარცვლეულ. და მათი თანაბარი კულტურ. ნათესი | ბოსტნეული და ბაღჩეული | კარტოფილი | თამბაქო | ვენახები | ბაღები და სამხილეები | სათიბები | მანდარინ. ნარგავები | ბამბა | ბრინჯი | მსხვილფეხა რქოსან. საქონ. და [illegible] | ხარი და კამეჩი | ცხენი | ვირი | ცხვარი და თხა | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 61 | 790 | | | 418 | 665 | 15 | | | | 14 | 10 | 16 | | | | |
| 2. ტფილისის რაიონი | 72 | 461 | | | 500 | 651 | 11 | | | | 22 | 16 | 18 | | | | |
| 3. ყარაიას „ | 75 | 465 | | | 607 | 651 | 20 | | | | 22 | 16 | 18 | | | | |
| 4. ბორჩალოს „ | 80 | 465 | | | 607 | 651 | 24 | | | | 17 | 16 | 18 | | | | |
| 5. ბაშკიჩეთის „ | 52 | 250 | | | — | 400 | 18 | | | | 23 | 16 | 18 | | | | |
| 6. წალკის „ | 50 | 250 | | | — | 400 | 17 | | | | 18 | 16 | 18 | | | | |
| 7. ლუქსემბურგის „ | 82 | 465 | | | 805 | 651 | 18 | | | | 19 | 16 | 18 | | | | |
| 8. გარე-კახეთის „ | 70 | 465 | 120 | 400 | 607 | 651 | 15 | | | | 18 | 16 | 18 | | | | |
| 9. მცხეთის „ | 65 | 465 | | | 607 | 651 | 19 | | | | 18 | 16 | 18 | 6 | 3 | 8 | 5 |
| 10. ერწო-თიანეთის „ | 58 | — | | | 400 | 400 | 13 | | | | 14 | 16 | 18 | | | | |
| 11. ალბულახ-მანგლ. „ | 65 | 465 | | | 607 | 651 | 22 | | 63 | 280 | 15 | 16 | 18 | | | | |
| 12. ხევის „ | 48 | — | | | — | 400 | 12 | | | | 15 | 16 | 18 | | | | |
| 13. დუშეთის „ | 55 | 390 | | | 500 | 651 | 12 | | | | 15 | 16 | 18 | | | | |
| 14. თელავის „ | 62 | 419 | | | 679 | 582 | 19 | | | | 17 | 17 | 19 | | | | |
| 15. სიღნაღის „ | 73 | 375 | | | 679 | 582 | 19 | | | | 17 | 17 | 19 | | | | |
| 16. გურჯაანის „ | 66 | 419 | | | 805 | 582 | 19 | | | | 17 | 17 | 19 | | | | |
| 17. ლაგოდეხის „ | 81 | 465 | | | 378 | 582 | 19 | | | | 17 | 17 | 19 | | | | |
| 18. ყვარლის „ | 73 | 414 | | | 681 | 582 | 19 | | | | 17 | 17 | 19 | | | | |
| 19. გორის „ | 68 | 408 | | | 512 | 717 | 16 | | | | 14 | 15 | 16 | | | | |
| 20. ბორჯომის „ | 65 | 408 | | | 497 | 550 | 16 | | | | 18 | 15 | 16 | | | | |
| 21. კასპის „ | 65 | 408 | | | 534 | 598 | 16 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 22. სტალინისის „ | 65 | 408 | | | 500 | 550 | 16 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 23. ახალქალაქის „ | 70 | 275 | | | | 556 | 20 | | | | 18 | 18 | 16 | | | | |
| 24. ბოგდანოვკის „ | 55 | — | | | — | — | 20 | | | | 23 | 18 | 24 | | | | |
| 25. ახალციხის „ | 61 | 348 | | | — | 681 | 20 | | | | 17 | 18 | 17 | | | | |
| 26. ადიგენის „ | 61 | 344 | | | — | 681 | 20 | | | | 17 | 12 | 17 | | | | |
| 27. ტოლოშის „ | 61 | 348 | | | — | 681 | 20 | | | | 17 | 12 | 17 | | | | |
| 28. აფხაზეთის ავტ. სსრ | 63 | 445 | | | 305 | 401 | 16 | 972 | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 29. აჭარისტ. ავტ. სსრ | 51 | 250 | | | 275 | 366 | 10 | 972 | | | 13 | 14 | 14 | | | | |
| 30. ქუთაისის რაიონი | 62 | 478 | | | 425 | 720 | 10 | | | | 13 | 12 | 16 | | | | |
| 31. ზესტაფონის „ | 55 | 313 | | | 805 | 458 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 32. სამტრედიის „ | 76 | 483 | | | 252 | 721 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 33. ჭიათურის „ | 45 | 313 | | | 410 | 458 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 34. ამბროლაურის „ | 60 | 313 | | | 500 | 458 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 35. ბაღდადის „ | 60 | 313 | | | 805 | 458 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 36. ვანის „ | 72 | 313 | | | 550 | 607 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 37. ტყიბულის „ | 35 | 313 | | | 297 | 607 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 38. ონის „ | 60 | 313 | | | 305 | 429 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 39. ჩხარის „ | 65 | 313 | | | 700 | 530 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 40. ქვემო-სვანეთის „ | 32 | 313 | | | 374 | 530 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 41. ცაგერის „ | 55 | 313 | | | 426 | 530 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 42. ხორაგოულის „ | 45 | 313 | | | 549 | 530 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 43. ხონის „ | 76 | 483 | | | 251 | 458 | 10 | | | | 13 | 15 | 16 | | | | |
| 44. სენაკის „ | 76 | 253 | | | 374 | 466 | 10 | | | | 13 | 15 | 14 | | | | |
| 45. მარტვილის „ | 72 | 253 | | | 374 | 466 | 10 | | | | 13 | 15 | 14 | | | | |
| 46. აბაშის „ | 76 | 253 | | | 374 | 466 | 10 | | | | 13 | 15 | 14 | | | | |
| 47. ზუგდიდის „ | 76 | 280 | | | 374 | 516 | 10 | | | | 13 | 15 | 15 | | | | |
| 48. ჩხოროწყუს „ | 58 | 280 | | | 374 | 516 | 10 | | | | 13 | 15 | 15 | | | | |
| 49. წალენჯიხის „ | 58 | 280 | | | 374 | 516 | 10 | | | | 13 | 15 | 15 | | | | |
| 50. ხობის „ | 81 | 280 | | | 374 | 516 | 10 | | | | 13 | 15 | 15 | | | | |
| 51. ოზურგეთის „ | 51 | 269 | | | 334 | 319 | 10 | 593 | | | 13 | 14 | 14 | | | | |
| 52. ლანჩხუთის „ | 61 | 269 | | | 334 | 516 | 10 | 593 | | | 13 | 14 | 14 | | | | |
| 53. ჩოხატაურის „ | 61 | 269 | | | 334 | 319 | 10 | 593 | | | 13 | 14 | 14 | | | | |
| 54. ფოთის „ | 63 | 269 | | | 334 | 319 | 10 | | | | 13 | 15 | 14 | | | | |
| საქართველოს სსრ | 63 | 400 | 120 | 400 | 600 | 550 | 18 | 940 | 63 | 280 | 16 | 15 | 17 | 6 | 3 | 8 | 5 |

კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსანის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს თავისი პროდუქციის ჩაბარებით არტელში, არ დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არამედ დაიბეგრება საშემოსავლო განაკვეთით სა-მუშაო ხელფასისათვის დადგენილი წესისამებრ.

ხოლო კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებს პროდუქციის გაყიდვით თავისი არტელის გარეშე, ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შედგენილობაში არაკოოპერირებულ შინამრეწველთა შემოსავლის თანაბრად.

### ბაზარზე შექმნილი ფასებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის აღნუსხვა.

55. ინდივიდუალური მეურნეობის შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ბაზარზე შექმნილი ფასებით, განისაზღვრება მთელი დროის მიხედვით—1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის წარმოებული აღნუსხვიდან 1933 წლის აღნუსხვამდე.

აღნიშნული შემოსავალი ჩაირიცხება დასაბეგრ შემოსავალში ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება მეურნეობის დანარჩენი (სოფლის მეურნეობის შემოსავლის და არასამიწათმოქმედო შემოსავლის) დასაბეგრი შემოსავლის 30%-ს.

56. მეურნეობის მიერ ბაზარზე შექმნილი ფასებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საგადასახადო კომისია.

სასოფლო-საგადასახადო კომისიის მიერ გამოანგარიშებული შემოსავლის რაოდენობას დაამტკიცებს სარაიონო საგადასახადო კომისია.

### გ. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების გადასახადის გამოანგარიშება.

57. ინდივიდუალურ შრომით მეურნეობებს, რომელთა დასაბეგრი შემოსავალი 200 მანეთს არ აღემატება, გადასახადი გადახდებათ მტკიცე განაკვეთით, 15 მანეთის რაოდენობით მეურნეობაზე.

გადასახადის გამოანგარიშება იმ ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის, რომელთა დასაბეგრი შემოსავალიც 200 მანეთზე მეტია, მოხდება განაკვეთების შემდეგი ტაბულის მიხედვით:

| დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა მეურნეობაზე. | გადასახადის რაოდენობა მეურნეობაზე. |
|---|---|
| 1. 200 მ-ზე მეტი. თანხის 300 მ-დე. | 15 მ.+10 კ. შემ. თვით. მ-ზე 200 მ. ზევ. |
| 2. 300 " " " 500 " . | 25 მ.+20 კ. " " " 300 მ. " |
| 3. 500 " " " 700 " . | 60 მ.+30 კ. " " " 500 " " |
| 4. 700 " " " | 125 მ.+35 კ. " " " 700 " " |

შენიშვნა. გადასახადი ინდივიდუალური შრომითი მეურნეობისა არ შეიძლება იყოს იმ განაკვეთზე ნაკლები, რაც დაწესებულია [illegible] რაიონის კოლმეურნეებისათვის (მუხ. 27).

58. იმ მეურნეობას, რომელსაც ორი შრომის უუნარო წევრი ჰყავს, გადასახადი შეუმცირდება 5%-ით. იმ მეურნეობას, რომელსაც სამი შრომის უუნარო წევრი ჰყავს—10%-ით, ხოლო იმ მეურნეობას, რომელსაც ოთხი და მეტი შრომის უუნარო წევრი ჰყავს—15%-ით.

### დ. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობის შეღავათები.

#### ღარიბ მეურნეობათა შეღავათები.

59. სასოფლო საგადასახადო კომისიას შეუძლიან სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან ცალკეული ღარიბი მეურნეობანი. ამ მიზნით სასოფლო საგადასახადო კომისია შეადგენს ღარიბ მეურნეობათა სიას. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წითელარმიელების და აგრეთვე ყოფილ წითელგვარდიელების და წითელპარტიზანების განთავისუფლებას.

აღნიშნულ სიებს სასოფლო საბჭო წარუდგენს დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

#### მუშა-მოსამსახურეთა შეღავათები.

60. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას საკარმიდამო მიწაზე და რომელსაც ჰყავს არა უმეტეს ერი ძროხისა, წვრილი ოთხფეხი საქონელი, აქვს სათიბი და არა აქვს სამინდვრე მიწა და არც მუშა-საქონელი ჰყავს, უკეთუ მისი სამუშაო ხელფასი არის შემოსავლის ძირითადი წყარო, ხოლო სოფლის მეურნეობა დამხმარე ხასიათისაა.

61. იმ პირის მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი დააკონტრაქტა ან მიამაგრა ქვანახშირის მრეწველობაში მიწის ქვეშ მუშაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით, გადასახადისაგან განთავისუფლება. უკეთუ აღნიშნული მეურნეობა თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მას გადახდება საერთო საფუძველზე.

62. გადასახადისაგან განთავისუფლდება რკინის გზის, წყალსავალი გზის, გზატკეცილის და ყამირგზების ტრანსპორტის სახაზო მომუშავის შემოსავალი ყოველგვარი სახის სოფლის მეურნეობისა ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შეღავათები ტექნიკური კულტურების და ბრინჯის განვითარების მიზნით.

**63.** შაქრის ჭარხლის ნათესი სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან.

**64.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მაღალი სელის ნათესი ნაკოლინდარ მიწაზე და გაუტეხავ მიწაზე, რომელიც მოხნულია შემოდგომიდან. სელის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი ნორმით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების ნორმის მიხედვით.

**65.** გადასახადისაგან განთავისუფლდება ბამბის ნათესი ურწყავ მიწაზე სარწყავი მიწათმოქმედების ყველა რაიონში. ბამბის დანარჩენი ნათესი დაიბეგრება შეღავათიანი ნორმით, სახელდობრ, მარცვლეული კულტურების ნორმის მიხედვით.

**66.** დაბეგვრისაგან განთავისუფლდება კენდირის, კენაფის, რამის, საბაგირო მცენარის, კანაფის, ლუფის, კაუჩუკოსანი მცენარეების და არახისის ნათესი ფართობი, ჩაის პლანტაცია და ციტრუსოვანი ნარგავი, გარდა მანდარინის პლანტაციისა.

### შეღავათები მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით.

**67.** დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ძროხისა, ბულისა, ცხვრისა და თხის ნამატი მეურნეობაში 1932 წელთან შედარებით.

**68.** ცხვრისა და თხის შემოსავლის ნორმები შემცირდება ნახევრად: 3 მანეთის ნაცვლად 1 მან. 50 კაპ. ერთ სულზე.

**69.** დაბეგვრისაგან განთავისუფლდება კარაკულის ჯიშის ცხვარი და მისი მეტისები.

**70.** სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მეფრინველეობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეაბრეშუმეობა და თუთის ხის ხრალის შემოსავალი.

### იმ მეურნეობათა შეღავათები, რომელთა შედგენილობაშიაც შედის სამხედრო მსახური, ორდენებით დაჯილდოებული პირი, შრომის გმირი, ყოფ. წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი, გამხედროებული დაცვის, მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულების სამსახურში მყოფი პირი და აგრეთვე ინვალიდი.

**71.** იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი და მათთან გათანასწორებული, 34 მუხლში ჩამოთვლილი პირნი, ეძლევა შემდეგი შეღავათები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| როდესაც მეურნეობისათვის გამონგარიშებული გადასახადის თანხა არის. | მიეცემა შეღავათი გადასახადის შემდეგი %-ის რაოდენობით: უკეთუ მეურნ. არის სხვა შრომის უნარ. მამაკაცი | უკეთუ მეურნ. არ არის სხვა შრომისუნარ. მამაკაცი. |
|---|---|---|
| 20 მანეთამდე „ „ . . . . | 100 | 100 |
| 20 მან. მეტი 30 მ.-დე. . . . | 40 | 60 |
| 30 მან. „ 50 „ . . . . | 5 | 30 |
| 50 მან. „ 75 „ . . . . | 15 | 25 |
| 75 მან. „ 100 „ . . . . | 5 | 10 |
| 100 მან. „ — „ . . . . | 5 | 5 |

შენიშვნა. 34 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მსახურთ შეენარჩუნებათ შეღავათების უფლება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი დათხოვნილი არიან გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან 1933 წლის იანვრის 1-ის შემდეგ.

72. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება ის სამხედრო მსახური, რომლის გამოანგარიშებული გადასახადიც არ აღემატება გადასახადის მტკიცე განაკვეთს, რაც დაწესებულია უწყებული სოფლის კოლმეურნეებისათვის.

73. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედრო-ვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ასეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან.

74. უკეთუ მეურნეობის შედგენილობაში შედის ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, გაწვეული სამთვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან სასწავლო შეკრებაზე საკუთარი სამწყობრო ცხენით, ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება.

## გადასახლებულთა შეღავათები.

75. ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელნიც 1930 წლის აპრილის 1-მდე გადასახლდენ ახალ ადგილას საგეგმო წესით, ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში;

ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში.

1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ გადასახლებულ ინდივიდუალურ მეურნეობას შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გადასახლდა იმ რაიონებში, რომელთა სიასაც შეადგენს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად. იმავე წესით განისაზღვრება ამ მეურნეობათა შეღავათების მოცულობა.

## სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა შეღავათები.

**76.** სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისა და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით.

## სხვა შეღავათები.

**77.** დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ხე-ტყის დამზადებასა, ჩამოტივტივებასა და ტორფის დამზადებაზე მიღებული საშოვარი.

**78.** დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ის შემოსავალი, რასაც მეურნეობას მისცემს შეგროვება:

ა) კედრის ნაყოფისა;

ბ) საუტილიზაციო ნედლეულისა და ლითონის ნამტვრევისა;

გ) ფესვისა.

ეს შეღავათი მეურნეობას მიეცემა იმ პირობით, უკეთუ იგი მთლად შეგროვებულ კედრის ნაყოფს, საუტილიზაციო ნედლეულს, ლითონის ნამტვრევს და ფესვს სახელმწიფო თუ კოოპერატიულ ორგანიზაციას ჩააბარებს.

**79.** სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან სოფლის იმ აქტივისტის ოჯახი, რომელიც დაზარალდა კულაკური შურისძიებით სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

**80.** სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან იმ სატყეო მომუშავის ოჯახი, რომელიც მოკლულ იქნა სახელმწიფო ქონების დაცვის ხაზით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ან ამ აღსრულებასთან დაკავშირებით.

**81.** იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც იკისრეს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხვედრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების დროიდან.

ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე არ მზრუნველი ობოლთან ერთად ცხოვრობს, და მათი მეურნეობა ერთად სწარმოებს.

ბიბლიოთეკა

### ე. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების მიერ გადასახადის გადახდის ვადები.

82. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობები გადასახადს გადაიხდიან იმავე ვადებზე, რაც დადგენილია კოლმეურნეებისათვის (მუხ. 40—41).

## კარი V.

## კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა

83. ყველა კულაკური მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლიანობის მიხედვით ინდივიდუალური წესით და არა ნორმების მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებმა მტკიცედ უნდა ადევნონ თვალყური, რათა ყველა კულაკური მეურნეობა სავსებით გამორკვეულ იქნეს, ინდივიდუალური წესით დაიბეგროს და მათი გადასახადის თანხა გადახდევინებულ იქნეს სრულიად დადგენილ ვადაზე; ამასთანავე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური შრომითი მეურნეობის დაბეგვრა ინდივიდუალური წესით.

84. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე:

I. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება უკეთუ იგი სისტემატურად ეწევა სპეკულაციას (შესყიდვა, გაყიდვა) და ამით მდიდრდება მუშებისა და გლეხების ხარჯზე.

II. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი ბოროტი განზრახვით არ ასრულებს მიცემულ თესვის გეგმას და კანონით დაწესებულ სხვა სახელმწიფო ვალდებულება, და ამავე დროს იგი გარკვევით არ ეკუთვნის ღარიბთა მეურნეობების ჯგუფს.

III. უკეთუ მეურნეობა სისტემატურად იყენებს დაქირავებულ შრომას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავების თავისებურობით ან რეწაობის ხასიათით, და ამ დაქირავებული შრომის გამოყენება არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამარცვლეულო მეურნეობისათვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | —50 | სამუშაო | დღე | წელიწ-ში | 1 | მეურნ-ზე. |
| დასავლეთ საქართველოში | —35 | „ | „ | „ | | |
| ბ) საბაღე მეურნეობისათვის | —75 | „ | „ | „ | — | „ |
| გ) საბოსტნე მეურნეობისათვის | 100 | „ | „ | „ | — | „ |
| დ) საჩაიე მეურნეობისათვის | 150 | „ | „ | „ | — | „ |
| ე) საბამბე მეურნეობისათვის | 150 | „ | „ | „ | — | „ |
| ვ) სათამბაქო მეურნეობისათვის | 240 | „ | „ | „ | — | „ |
| ზ) ბრინჯის მეურნეობისათვის | 100 | „ | „ | „ | — | „ |
| თ) სავენახე მეურნეობისათვის | 125 | „ | “ | „ | — | „ |

ი) მესაქონლეობის მეურნეობისათვის—1 მუდმივი მწყემსი ან 1 მწყემსის თანაშემწე;

კ) საშინამრეწველო და სახელოსნო რეწაობისათვის—ისეთ ფარგლებში, რაც მომქმედი საარჩევნო კანონის თანახმად არ იწვევს საბჭოების არჩევის უფლების ჩამორთმევას.

შენიშვნა. უკეთუ მეურნეობას შრომისუნარიანი მამაკაცი არა ჰყავს (ქვრივის, ობლის, ინვალიდის, მოსწავლის მეურნეობა), ან უკეთუ შრომისუნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია ან წითელარმიაშია, ერთი მუდმივი მუშის ყოლა (ან მუშა-ძალის გამოყენება ისეთ ფარგლებში, რაც არ აღემატება ერთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეთა საშუალო წლიურ რიცხვს) და დაქირავებული მუშა-ძალის გამოყენება ამა მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომლის გამოც ასეთი მეურნეობა ინდივიდუალური წესით უნდა დაიბეგროს.

IV. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ მას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღვები, ბურღულის საფქველი, ფეტვის საფქველი, ბოჭკოს საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი, მათი შემოსავლის მიუხედავად; ხოლო უკეთუ მეურნეობას აქვს წყლის თუ ქარის ძალით მომქმედი საწარმო, იგი ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად იმ პირობით, რომ ამ საწარმოს შემოსავალი წელიწადში აღემატებოდეს 150 მანეთს, ხოლო წისქვილის შემოსავალი 30 ფუთ მარცვალს წელიწადში და ფულადი გამოხატულებით 200 მანეთს, როდესაც ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული საერთო დასაბეგრი შემოსავალი მეურნეობისა (სოფლის მეურნეობის შემოსავალი და არასამიწათმოქმედო საშოვარი) 700 მანეთზე მეტია.

**შენიშვნა**. უკეთუ წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო რამდენსამე თანამონაწილეს ეკუთვნის, მათ შორის ინდივიდუალური წესით დაიბეგრებიან მხოლოდ ისინი, როდესაც სხვა ნიშნები არ არის, რომელთა შემოსავალიც საწარმოს მათი კუთვნილი ნაწილისა ზემოაღნიშნულ ზღვრულ რაოდენობას აღემატება.

V. უკეთუ მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და მას იჯარით აქირავებს ან იყენებს გარეშე მოსახლეობის ექსპლოატაციისათვის სამუშაოს სახლში გაცემით, ან ნედლეულის შესყიდვით ამ საწარმოში გადასამუშავებლად, ან და სხვისი ნედლეულის გადამუშავების საშუალებით, რისთვისაც იგი სასყიდელს ნატურად იღებს, ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

VI. მეურნეობა, რომელიც აწარმოებს არყის გამოხდას გადასამუშავებლად საჭირო ნედლეულის შესყიდვით, ან და აწარმოებს ამ გამოხდას სხვისი ნედლეულიდან, რისთვისაც სასყიდელს ნატურად ან ფულად იღებს, ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად, უკეთუ ამ წყაროს წლიური შემოსავალი, გამოანგარიშებული სახელმწიფო სადამზადებლო ფასების მიხედვით, აღემატება 300 მანეთს წელიწადში, და მეურნეობის საერთო შემოსავალი კი 700 მანეთზე მეტია.

VII. უკეთუ მეურნეობა აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეუნეობისათვის სასყიდლის აღებით, იგი კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

VIII. მეურნეობა, რომელიც სხვა მეურნეობისათვის კაბალურ პირობებში იჯარით გასცემს ან აიღებს ბაღებს, ვენახებს, სათიბებს და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, ჩაითვლება კულაკურ მეურნეობად.

IX. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი აქირავებს საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად ცალკეულ მოწყობილ შენობებს, რაც არ არის აგებული მეურნეობის წევრთა საბინაო საჭიროებისათვის, იმ პირობით, რომ ამ გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატებოდეს:

ა) 300 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი წელიწადში 700 მანეთზე მეტია;

ბ) საკურორტო ადგილას—500 მანეთს წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო შემოსავალი 700 მანეთზე მეტია.

**შენიშვნა.** ინდივიდუალური წესით არ დაიბეგრება ის მუშა-მოსამსახურე, რომლის ძირითად მოსაქმეობას შეადგენს დაქირავებით მუშაობა, უკეთუ მას აქვს მცირე სოფლის მეურნეობა, როგორც დამხმარე წყარო შემოსავლისა და ეწევა თავისი კუთვნილი შენობის ექსპლოატაციას იჯარით გაცემის საშუალებით. ეს მუშა-მოსამსახურე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო წესისამებრ, როგორც შრომითი საგლეხო მეურნეობა.

X. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი სავაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იჯარით იღებს ბაღს, ვენახს და სხვ.

მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება: ა) უკეთუ იჯარით აღებული ბაღის, ვენახის და სხვ. ფართობი არ აღემატება უწყებულ სოფელში იმავე სანახების საშუალო ნორმას ერთ მეურნეობაზე, ან ბ) უკეთუ საწილადოდ ბიჯარით აღებული ბაღისა, ვენახისა და სხვ. დამუშავება სწარმოებს დაქირავეული შრომის გამოუყენებლად.

XI. უკეთუ მეურნეობის წევრი ეწევა მევახშეობას (ე. ი. აძლევს სესხად ფულს ან პროდუქტებს კაბალური პირობებით), ან და უკეთუ ამ წევრს აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი, მათ შორის რელიგიური კულტის მსახურებაში მიღებული შემოსავალი, ეს მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, აღნიშნული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად.

85. სასოფლო საბჭო შეადგენს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და განსაზღვრავს მათი შემოსავლის რაოდენობას.

სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი სიები განხილულ უნდა იქნეს კოლმეურნეების და ინდივიდუალურ გლეხთა აქტივის კრებებზე.

ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიას და მათ შემოსავალს დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი; უკეთუ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ეჭვი დაებადება ამა თუ იმ მეურნეობის ინდივიდუალური დაბეგვრისა და აგრეთვე მისი შემოსავლის განსაზღვრის სისწორის თაობაზე, იგი მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას.

86. ყველა არასამიწათმოქმედო შემოსავალი მთლად ჩაირიცხება კულაკური მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში.

87. კულაკურ მეურნეობას, რომლის შემოსავალიც 1000 მანეთს არ აღემატება, გადასახადი გადახდება მტკიცე განაკვეთით 350 მანეთის რაოდენობით ერთ მეურნეობაზე. კულაკური მეურნეობისათვის, რომლის შემოსავალიც 1000 მანეთს აღემატება, გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთების შემდეგი ტაბულის მიხედვით:

| შემოსავლის რაოდენობა | გადასახადის რაოდენობა |
|---|---|
| 1000 მ-ზე მეტი თანხის. 3000 მ-დე . . . . | 350 მ.+50 კ. შემოს. თვით. მ-ზე 1000 მ-ზე ზევით |
| 3000 „ „ „ 6000 „ . . . . | 1350 მ.+60 კ. შემოს. თვით. მ-ზე 3000 მ-ზე ზევით |
| 6000 „ „ „ . . . . | 3150 მ.+70 კ. შემოს. თვით. მ-ზე 6000 მ ზე ზევით |

88. იმ მეურნეობას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრება, არავითარი შეღავათის უფლება გადასახადის სფეროში არა აქვს.

89. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, კულაკურ მეურნეობას გადახდება სარეწაო გადასახადი ყველა რეწაობისათვის, რაც სარეწაო გადასახადის კანონის თანახმად დაბეგრილ უნდა იქნეს როგორც ბრუნვის პროცენტული შეფარდებით, ისე მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

90. კულაკი, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, დაიბეგრება ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, ან საშემოსავლო გადასახადით·

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. ინდივიდუალური წესით დაბეგრილი მეურნეობანი გადასახადს გადაიხდიან ერთ ვადაზე—1933 წლის 1-ლ სექტემბერს.

92. ის განკულაკებული მეურნეობა, რომელსაც არა აქვს ნამალევი შემოსავალი, კაპიტალი და ქონება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება საერთო საფუძველზე ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების თანაბრად, ხოლო მას არა აქვს არავითარი შეღავათის უფლება.

93. მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის წარსული მოქმედების გამო საარჩევნო უფლებას მოკლებული პირი (ყოფილი ჟანდარმი, პოლიციის მსახური და სხვ.), უკეთუ ამ მეურნეობას არა აქვს ნიშანი ინდივიდუალური წესით დაბეგვრისათვის, არ ეძლევა არავითარი შეღავათი გადასახადის სფეროში, ხოლო გადასახადის თანხა, გამოანგარიშებული საერთო საფუძველზე (მუხ. 46—47), მას ერთი-ორად გაუდიდდება.

## კარი VI.

## გადასახადის გადახდევინების ორგანოები. განცხადებათა და საჩივართა შეტანის და განხილვის წესი.

94. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება სოფლად დაეკისრება სასოფლო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქ-ადგილებში, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი პირნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან,—საქალაქო საბჭოებს.

95. სასოფლო საბჭოს დაეკისრება:

ა) აღნუსხოს შემოსავლის წყაროები;

ბ) წინასწარ შეადგინოს სიები: 1) იმ მცირეძალოვანი მეურნეობებისა, რომელნიც განთავისუფლებულ უნდა იქნენ გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ; 2) იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება ბაზარზე შექმნილი ფასებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი; 3) იმ მეურნეობებისა, რომელთაც აქვთ არასამიწათმოქმედო საშოვარი; 4) ინდივიდუალური წესით დასაბეგრი კულაკური მეურნეობებისა;

გ) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავლისა და შესაწერი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა, შეავსოს საგადასახადო ფურცლები, აწარმოოს ცალკეულ გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სასოფლო საბჭოს დაკისრებული აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

დ) ჩააბაროს გადამხდელთ საგადასახადო ფურცლები;

ე) მიიღოს გადასახადის შესატანი თანხა და გადაუგზავნოს იგი, დადგენილი წესისამებრ, გადასახადის მიმღებ დაწესებულებას;

ვ) შეადგინოს სათანადო აქტები სტიქიური უბედურების შემთხვევაში;

ზ) დაუბრუნოს და გაუბაროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭო გადასახადს იღებს;

თ) დააჯარიმოს გადამხდელი საადმინისტრაციო წესით ამა დადგენილების 108 მუხლის თანახმად;

ი) იხმაროს იძულებითი ღონისძიება გადასახადის გადახდევინებისათვის არაპირიან გადამხდელთა მიმართ.

**96.** სასოფლო საბჭოებთან ყველგან მოეწყობა სასოფლო საგადასახადო კომისიები.

სასოფლო საგადასახადო კომისიის შედგენილობაში შედის: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარედ) და წევრები:

ა) სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის წარმომადგენელი; ბ) სასოფლო საბჭოს სამიწათმოქმედო სექციის წარმომადგენელი; გ) მოწინავე კოლმეურნეობის წარმომადგენელი; დ) წითელარმიელთა ოჯახების წარმომადგენელი; ე) 2-3 დამკვრელი კოლმეურნე და ერთი მოწინავე ინდივიდუალური გლეხი სასოფლო საბჭოს შედგენილობაში შემავალი სოფლებიდან, არჩეულნი მოქალაქეთა საერთო კრებაზე; ვ) ადგილობრივი სარეწაო კოოპერატიული არტელის წარმომადგენელი (საშინამრეწველო რეწაობის განვითარების რაიონებში).

**97.** სასოფლო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) განიხილოს და წარადგინოს დასამტკიცებლად სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან გასანთავისუფლებელ მცირეძალოვან მეურნეობათა სიები;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თვითეული მეურნეობისათვის რაოდენობა არასამიწათმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ განსაზღვროს ინდივიდუალურ მეურნეობათა შემოსავალი, მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან ბაზარზე შექმნილი ფასებით;

დ) წინასწარ განიხილოს კულაკურ მეურნეობათა სია და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ე) წინასწარ განიხილოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საჩივარი და მათი თხოვნა შეღავათისა და მონაკლების შესახებ.

**98.** იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, 95 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებენ საქალაქო საბჭოები, რომლებთანაც მოეწყობა სათანადო საგადასახადო კომისიები.

**99.** სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღნუსხვის საქმეს;

ბ) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორეა სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობრივი სიები და მათ მიერვე წარმოებული აღნუსხვა შემოსავლის წყაროებისა;

გ) საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს გადასახადის გადახდევინების საქმეს რაიონის ფარგლებში;

დ) გამოიანგარიშოს კოლექტიურ მეურნეობათა გადასახადი;

ე) გაანთავისუფლოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობანი;

ვ) მისცეს გადასახადის გადამხდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და მონაკლები;

ზ) იხმაროს იძულებითი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია გადასახადების გადახდევინების დებულებაში;

თ) დააჯარიმოს გადამხდელი გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო ცნობების არა თავის დროზე წარმოდგენისათვის და აგრეთვე არასწორე ცნობების მიცემისათვის;

ი) გამოიანგარიშოს დასაბეგრი შემოსავალი და შესაწერი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მუშაობა დაკისრებული აქვს სასოფლო საბჭოს;

კ) დაუბრუნოს და გაუბაროს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა;

ლ) აწარმოოს კოლმეურნეობათა და ცალკეულ გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში.

**100.** სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა სარაიონო საგადასახადო კომისია.

სარაიონო საგადასახადო კომისიის შედგენილობაში შედიან: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე (თავმჯდომარედ) და წევრები: ა) სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგე; ბ) სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე; გ) თითო წარმომადგენელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებისა, მოსავლიანობის გამომრკვევი სარაიონთაშორისო კომისიისა, სარაიონო საგეგმო ორგანოსი და სარაიონო პროფკავშირთა საბჭოსი.

**101.** სარაიონო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პროექტები დადგენილებისა შემოსავლის ცალკეული წყაროებისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) დაამტკიცოს იმ კოლმეურნეების და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების სიები, რომელნიც მცირეძალოვნობის გამო გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნენ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს იმ ინდივიდუალურ მეურნეობათა სიები და შემოსავლის რაოდენობა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ჰყიდიან ბაზარზე შექმნილი ფასებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განიხილოს გადამხდელთა საჩივრები;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიები და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ვ) გამოარკვიოს გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვროს მთლად დასაბეგრი შემოსავლის თანხა იმ მეურნეობათათვის, რომელთაც არასამიწათმოქმედო საშოვარი აქვთ.

**102.** ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) ვალდებულია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, მათი მოთხოვნისამებრ, ცნობა იმ თანხების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთ მიეცათ; ამასთანავე, მათ უნდა აღნიშნონ თანხის მიმღების სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, რაიონი) და აგრეთვე ის, თუ რისთვის მიეცათ თანხა გადამხდელთ.

**103.** კოლმეურნეობათა განცხადება და საჩივარი გადასახადის შესახებ შეიტანება სარაიონო საფინანსო განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღისა გადასცეს ეს განცხადება და საჩივარი თავისი დასკვნით განსახილველად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

**104.** კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა ყველა განცხადება და, საჩივარი გადასახადის შესახებ შეიტანება სასოფლო საბჭოში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი განსახილველად სასოფლო საგადასახადო კომისიას. სასოფლო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო საგადასახადო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებში—ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

ამ ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა.

**105.** განცხადებათა და საჩივართა შეტანისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არასისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე განცხადება შეღავათის მიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მიცემის შესახებ, უკეთუ სტიქიური უბედურება შემოსავლის წყაროების აღნუსხვამდე მოხდა, შეტანილ უნდა იქნეს აღნუსხვის დასაწყისს; დანარჩენ შემთხვევაში განცხადება შეიტანება 10 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**106.** განცხადება და საჩივარი განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა მათი შეტანის დღიდან.

**107.** განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია გადამხდელის სასარგებლოდ, უმართებულოდ გადახდევინებული თანხა დაბრუნებულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე.

## კარი VII

## გადამხდელთა პასუხისმგებლობა

**108.** უკეთუ გადამხდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავლის დასაბეგრ წყაროებს დაუმალავს, იგი დაჯარიმებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით ან მიიცეს პასუხისგებაში სასამართლო წესით.

ჯარიმას დაადებს სასოფლო საბჭო. ჯარიმა შემოსავლის დასაბეგრი წყაროების გადამალვისათვის არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის თანხას უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ.

სასოფლო საბჭოს დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

**109.** არასწორი ცნობების მიცემისათვის კოლმეურნეობების გადასახადიი გამოსაანგარიშებლად, დამნაშავე პირს დაედება ჯარიმა 25 მანეთამდე.

**110.** გადამხდელს, რომელიც გადასახადს ვადაზე არ გადაიხდის, შეეფარდება გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

კერძოდ, იმ გადამხდელის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება, ხოლო ვადის გადაცილებისათვის მას გადახდება საურავი შემდეგი რაოდენობით:

კოლექტიურ მეურნეობას—0,1%, ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობას და კოლმეურნეს—0,2% და კულაკურ მეურნეობას—1% თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

## კარი VIII

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლის განაწილება

**111.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული ყველა თანხა მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში შემდეგი წესების დაცვით:

ა) არა ნაკლებ 20%-ისა უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიღებული გადასახადის თანხისა მიიქცევა უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში;

ბ) გადასახადის დანარჩენი თანხა ჩაირიცხება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში;

გ) საქალაქო მიწებიდან მიღებული გადასახადის თანხა სავსებით საქალაქო ბიუჯეტში მიიქცევა;

დ) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში: სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მიღებული თანხის არა ნაკლებ 20%-ისა ჩაირიცხება სასოფლო ბიუჯეტში, რაიონების ტერიტორიაზე მიღებული გადასახადის არა უმეტეს 50%-ისა ჩაირიცხება ამ ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის რესპუბლიკანურ ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი თანხა—სარაიონო ბიუჯეტში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1933 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 140 №-ში 1933 წ. ივნისის 20.

---

ფასი 60 კაპ.

მთავლიტი № 874. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა შეკ. № 1162. ტირაჟი 1.800